საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის ქალთა უმაღლესი კურსები

თბილისის ქალთა უმაღლესი კურსები, უმაღლესი სასწავლებელი რევოლუციამდელ საქართველოში. გაიხსნა 1909 თბილისში ქალთა ერთი ჯგუფის კერძო ინიციატივით. კურსებს ჰქონდა 2 განყ-ბა: ისტ.-ფილოლ. და საბუნებისმეტყველო; სწავლების ვადა 3 წელი იყო. 1912 განყოფილებები ფაკულტეტებად გადაკეთდა, სწავლების ხანგრძლივობა 1 წლით გაიზარდა. 1916 ჩამოყალიბდა სამედ. ფაკ-ტი. ისწავლებოდა 10 ენა (მ. შ. არ იყო ქართული, სომხ. და აზერბ. ენები), ძვ. ქართ. ლიტ-რა ფაკულტატიური საგანი იყო. თ.ქ.უ.კ-ზე ყოველწლიურად 100-მდე მსმენელს იღებდნენ, სწავლების კურსს ამთავრებდა მხოლოდ 10–15 მოსწავლე. მსმენელთა დაბალი აკად. წარმატების მიზეზი იყო სასწ.-აღმზრდელობითი მუშაობისა და საყოფაცხოვრებო პირობების მოუწესრიგებლობა.